



აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი 69

აპრილი / 2026

აჭარის მუნიციპალიტეტებში წყლისა და წყალარინების პროექტი აქტიურ ფაზაშია

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში, რეგიონში მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. პროექტი მიზნად ისახავს თანამედროვე კომუნალური ინფრასტრუქტურის შექმნას და მოსახლეობისათვის უწყვეტი, უსაფრთხო წყალმომარაგებისა და გამართული წყალარინების სისტემების უზრუნველყოფას.



ქობულეთის მუნიციპალიტეტში სამუშაოები მიმდინარეობს შემდეგ დასახლებებში: ქვედა კვირიკე, მუხაესტატეს მეურნეობა, ოჩხამური, ჭიხანჯური და ცეცხლაური. აღნიშნულ ლოკაციებზე შენდება წყალმომარაგების რეზერვუარები, წყალარინების გამწმენდი ნაგებობა, ინდივიდუალური და კომუნალური სეპტიკური ავზები, ასევე წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, სამუშაოები მიმდინარეობს სოფლებში კირნათი, კობალეთი, ერგე და ჭოჭო.

ქედის მუნიციპალიტეტში, დაბა ქედაში დაიწყო წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა. ამასთან ერთად, მიმდინარეობს რეზერვუარის მშენებლობაც. პარალელურად, აქტიური სამუშაოები გრძელდება სოფლებში ვაიო, აქუცა, უჩხითი, ქოსოფელი, არსენაული და მილისი.



შუახევის მუნიციპალიტეტში პროექტის ფარგლებში სამუშაოები მიმდინარეობს დაბა შუახევში და სოფლებში სხეფელა, ღორეჯეთი, თერნალი, ტბეთი, გოგაძეები და კვიახიძეები. პროექტის დასრულების შემდეგ აღნიშნული დასახლებების მოსახლეობა ისარგებლებს 24-საათიანი წყალმომარაგებით და გამართული წყალარინების სისტემით.

ხულოს მუნიციპალიტეტში, დაბა ხულოში მიმდინარეობს წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა. ამ ეტაპზე ხორციელდება ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიის გამაგრება გაბიონის მონყობით. პარალელურად, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მოწყობა მიმდინარეობს სოფლებში დუაძეები, ოქრუაშვილები, ზემო დეკანაშვილები და ქვედა ვაშლოვანი.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია, რომ 2026 წელს დასრულდება მიმდინარე სამუშაოები და ახალი კომუნალური ინფრასტრუქტურა სრულად ამოქმედდება შემდეგ დასახლებებში: მუხაესტატეს მეურნეობის დასახლება, ქვედა კვირიკე, კირნათი, კობალეთი, მილისი, უჩხითი და ქოსოფელი.

პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რეგიონში ცხოვრების ხარისხს, ხელს შეუწყობს გარემოს დაცვას და უზრუნველყოფს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის კომუნალურ მომსახურებას.


ინფორმაცია პროგრამის შესახებ

გერმანია-საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში და ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოსთან, აჭარის მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო, ხელვაჩაური, ქობულეთი) თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა იქმნება.

პროექტის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტებში მოსახლეობა 24 საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით და გამართული წყალარინების სისტემებით ისარგებლებს. სამუშაოების განხორციელება ხელს შეუწყობს სოფლებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ასევე ტურიზმის სტიმულირებას.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.





Funded by
the European Union



KFW




AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAMME

Newsletter 69

April / 2026

WATER AND WASTEWATER PROJECT PROGRESSING ACROSS MUNICIPALITIES IN AJARA


Within the framework of the Ajara Rural Water Supply and Wastewater Treatment Program, for semi-urban areas and villages, large-scale construction works are actively underway across the region. The project aims to develop modern communal infrastructure and ensure continuous, safe water supply and efficient wastewater systems for the population.



In Kobuleti Municipality, works are ongoing in the following settlements: Kveda Kvirike, Mukhaestate Settlement, Ochkhamuri, Jikhanjuri, and Tsetskhlauri. The project includes the construction of water supply reservoirs, individual and communal septic tanks, as well as water supply and wastewater systems.

In Khelvachauri Municipality, construction works are in progress in the villages of Kirnati, Kobaleti, Erge, and Jocho, aiming to develop modern communal infrastructure.

In Keda Municipality, the construction of water supply and wastewater systems has begun in the semi-urban area of Keda. At the same time, a water reservoir for the semi-urban area of Keda is under construction. Parallel works are actively ongoing in the villages of Vaio, Akutsa, Uchkhiti, Milisi and Kosopeli.



In Shuakhevi Municipality, works are underway in the semi-urban area of Shuakhevi and the villages of Skhephela, Ghoreketi, Ternali, Tbeti, Gogadzeebi and Khviakhidzeebi. Upon completion, the population of these settlements will benefit from 24-hour water supply and improved wastewater systems.

In Khulo Municipality, construction of a wastewater treatment plant is ongoing in the semi-urban area of Khulo. At this stage, works are being carried out to reinforce the surrounding area next to wastewater treatment plant. In parallel, water supply and wastewater systems are being constructed in the villages of Duadzeebi, Okrashvilebi, Kvemo Vashlovani and Zeda Dekanashvilebi.

Construction works is expected to be completed in 2026 for these settlements: Mukhaestate settlement, Kvemo Kvirike, Kirnati, Kobaleti, Milisi, Uchkhiti, and Kosopeli.

The implementation of the project will significantly improve living standards in the region, contribute to environmental protection, and ensure access to modern communal services.

GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

In the frame of the German-Georgian Financial Cooperation and EU support to Georgia, the municipalities of Ajara (Keda, Shuakhevi, Khulo, Khelvachauri, Kobuleti) will benefit from the modern standard water supply and waste water infrastructure.

Upon completion of the project, people in the municipalities will have 24 hour uninterrupted water supply and properly managed waste water system services.

The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme “Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara” is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.



This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.